ხელშეკრულება #3/135

CPV 31400000

(საქონლის შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

ქ. თბილისი 5 დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, (შემდგომში წოდებული "შემსყიდველად") წარმოდგენილი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ტომა" (შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად"), წარმოდგენილი დირექტორის, გიორგი სიფრაშვილის სახით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას (საფუძველი თსსუ-ს სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის მოადგილის ბ. მაჭავარიანის წერილი, კანცელარიის ნომერი #2749 11.11.2016წ.) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დანართში (დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) მოცემული საქონლის მიწოდება.

2. საქონლის მიწოდების წესი და ღირებულება

2.1. მიწოდების ვადაა 3 (სამი) სამუშაო დღე მოცემული ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.

2.2 საქონლის ერთეულის ფასი მოცემულია დანართში.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 275 (ორასსამოცდახუთმეტი) ლარს.

2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლისP ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.

2.5.ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1 საქონლის გადაცემა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ `შემსყიდველის~ და `მიმ-წოდებლის~ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად `შემსყიდველს~ წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1.ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საქონლის მიწოდების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2.ანგარიშსწორება `შემსყიდველის~ მიერ განხორციელდება საანგარიშო ანგარიშ-ფაქტურის (თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

5.2.1 დროულად უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.

5.2.2 უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

5.3.1 პასუხი აგოს მიწოდებული საქონლის ხარისხზე.

5.3.2 გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5.3.3 უზრუნველყოს საქონლის მიწოდება დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ხელშეკრულების ღირებულების 10% -ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.

6.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ს ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი.

10. დამატებითი პირობები

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	შპს „ტომა"
ვაჟა-ფშაველას გამზ. #33	იურიდ. მის: საგარეჯოს რაიონი, ს. უჯარმა
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703	ფაქტ. მის: თბილისი, თევდორე მღვდლის #13
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22	საიდენტიფიკაციო ნომერი 438111124
ა/ა GE24 NB 0330100200165022	საქართველოს ბანკი ცენტ.ფილიალი BGAGE22
	ა/ა GE05BG 000 0000 553991000

თსსუ-ს კანცლერი
ზურაბ ორჯონიკიძე

შპს „ტომა"-ს დირექტორი
გიორგი სიფრაშვილი

დანართი

#	დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი)	მთლიანი ღირებულება (ლარი)
1	LR6 SHP16	შეკვრა	7	17	119
2	LR6 SHP10	შეკვრა	7	11	77
3	LR03 SHP10	შეკვრა	5	11	55
4	LR6 SHP24	შეკვრა	1	24	24
				სულ:	275

თსსუ-ს კანცლერი
ზურაბ ორჯონიკიძე

შპს „ტომა"-ს დირექტორი
გიორგი სიფრაშვილი